ოქმი:**ო12. 3724207001**

თარიღი:**25/07/2024**

ოქმი N 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 24 ივლსი
ქ.ოზურგეთი
14.00 – 15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, ს. ქარცივაძე, ე. გორდელაძე, ნ. ღაჟონია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ექვსი თვის მდგომარეობით, კულტურის განვითარების ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თამამომხსენებელი: ნ. ხომერიკი

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ექვსი თვის მდგომარეობით, სპორტის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების შედეგების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თამამომხსენებელი: ნ. ხომერიკი

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა"-ის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თამამომხსენებელი: მ. ჭანტურია

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე-II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თამამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა მიმდინარე წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კულტურის განვითარების ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების, ფესტივალების და სხვა ჩატარების თაობაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიცნიეს ინფორმაციის ცნობად მიღება და საკრებულოს სხდომაზე წარდგენა შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა ასევე მოკლედ ისაუბრა მიმდინარე წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ, მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სპორტულ შეჯიბრებებზე, სპორტსმენების წარმატებებზე და სხვა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიცნიეს ინფორმაციის ცნობად მიღება და საკრებულოს სხდომაზე წარდგენა შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მესამე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია საკრებულოს წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ჭანტურიამ, რომელმაც ძირითადად ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის თაობაზე საკრებულოს დადგენილებაში შეტანის აუცილებლობაზე, რათა იგი თანხვედრაში მოვიდეს მადგილობრივი მეწარმეობის განვითარების შესახებ არსებულ კანონმდებლობასთან. სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა თანამომხსენებელს გადასცა კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ დადგენილებაში ცვლილებების შეტნისას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიცნიეს ინფორმაციის ცნობად მიღება და საკრებულოს სხდომაზე წარდგენა შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მე-4 საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია საკრებულოს წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო გეგმის შესრულების ძირითადი პარამეტრები-შემოსავლები და ხარჯები კონკრეტული მუხლების მიხედვით, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხომაზე წარდგენა განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული ოთხივე საკითხი მიღებულ იქნას ცნობად და წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზრვრის მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი